არჩევნებამდე დარჩა 12 დღე

# ხაშურის მოამბე

№36 (67) 26 სექტემბერი, ორშაბათი, 2016 წელი

## ხაშურის მუნიციპალიტეტში 707 პირველეულია

ისევე, როგორც მთელ საქართველოში, გასულ კვირას ჩვენი მუნიციპალიტეტის სკოლებში განახლდა სასწავლო პროცესი. როგორც ჩვენთან საუბარში ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა ზვიად გოგუაძემ აღნიშნა, 32 საჯარო და ერთ კერძო სკოლაში, 8 ათასამდე მოსწავლე მიუსხდა სასწავლო მერხს. აქედან 707-მა პატარამ პირველად შეა-

ღო სკოლის კარი. სკოლებმა ყველაფერი გააკეთეს, რომ მომზადებულები შეხვედროდნენ ახალ სასწავლო წელს. მხოლოდ სარემონტო სამუშაოებზე ნახევარ მილიონამდე ლარია დახარჯული. ერთ, კერძოდ კი, მე-9 საჯარო სკოლაში, მილენიუმის პროგრამის ფარგლებში, შენობის სრული რეაბილიტაცია მიმდინარეობს, რომელსაც აშშ აფინანსებს.

წლევანდელ ეროვნულ გამოცდებზე ჩვენი მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სკოლადამთავრებულმა აბიტურიენტებმა მართლაც ისახელეს თავი. მარტო იმ ფაქტის აღნიშვნა რად ღირს, რომ 13-მა მათგანმა 100 პროცენტიანი სახელმწიფო დაფინანსება მიიღო, რაც თავისთავად მეტყველებს მუნიციპალიტეტის სკოლებში განათლების მაღალ დონეზე. იმედია, არც მიმდინარე სასწავლო წელი იქნება გამონაკლისი და 2017 წელს უფრო მეტი მოსწავლე ისახელებს თავს.

**სურათზე:** პირველი საჯარო სკოლის პირველკლასელები, პედაგოგი მაია ფერაძე

– ახალმშენებლობები –

## სოფელს ახალი, კეთილმოწყობილი საბავშვო ბაღი შეემატა

19 სექტემბერს, ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გიორგი გურასპ-

აშვილმა და ა(ა)იპ „ხაშურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების-საბავშვო ბაღების გაერთიანების“ ხელმძღვანელმა დავით ნოზაძემ საზეიმო ვითარებაში გახსნეს სოფელ ვაყაში ახლადაშენებული საბავშვო ბაღი. ბაღის მშენებლობა ჯამში 150 000 ლარი დაჯდა. შენობა აღიჭურვა ახალი ტექნიკით და საჭირო ინვენტარით. ვაყაში საბავშვო ბაღი ათწლეულების განმავლობაში არ არსებობდა, ამჯერად კი ახლადაშებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება 70 აღსაზრდელის მიღებას შეძლებს.

ვაყის საბავშვო ბაღის მენეჯერმა-მაია ნინიაშვილმა და აღსაზრდელების მშობლებმა მადლობა გადაუხადეს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებს აღსაზრდელებზე ზრუნვისთვის და მათთვის საუკეთესო პირობების შექმნისთვის და იმედი გამოთქვეს, რომ მსგავსი ყურადღება არც მომავალში მოაკლდებათ პატარებს.

–სოფლის მეურნეობა –

## უპრეცედენტო შეთავაზება ფერმერებს

მნიშვნელოვანი სიახლე სოფლის მეურნეობის დარგში. აქამდე ცნობილი პროგრამების ჩამონათვალს ახალი პროდუქტი “აგრო-საინვესტიციო” სესხი შეემატა, რომელსაც თიბისი ბანკი განახორციელებს. აღნიშნული პროექტი, უპრეცენდენტოა და ანალოგი თითქმის არც მოეძებნება. როგორც საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ხაშურის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის მთავარმა სპეციალისტმა, **როინ კურტანიძემ** აღნიშნა, –სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის მიზნით, ახალი პროდუქციით ფერმერებს მრავალწლიანი ბაღების გასაშენებლად 20 000 ლარიდან 600 000დოლარამდე საინვესტიციო სესხით სარგებლობა გრძელვადიანი საშედავათო პერიოდით შეუძლიათ. შეთავაზებული აგროსაინვესტიციო სესხი, უპრეცენდენტო პროდუქტია, რომელიც სახელმწიფო პროგრამის “შედავათიანი აგროკრედიტის” ფარგლებში განხორციელდება. 5 წლის განმავლობაში, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო გადაიხდის აგროსაინვესტიციო პროცენტს, ხოლო ძირი თანხის დაბრუნებას, ფერმერები ხუთი წლის მერე დაიწყებენ.

აგროსაინვესტიციო სესხით ბაღის გაშენება და მისი შემდგომი მოვლა-ნარგაობის პროცესი, მის სრულ მსხმოიარობამდე დაფინანსდება. აგროსაინვესტიციო სესხი იმ ფიზიკური და იურიდიული პირებისათვისაა განკუთვნილი, რომლებიც ფლობენ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მინიმუმ 1 ჰა-ს.

ამ სესხის პარალელურად, ფერმერები, ასევე სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროექტით “დანერგე მომავალი”, ისარგებლებენ. პროგრამის ფარგლებში ფერმერებს გრანტის სახით გადაეცემათ ნერგების ღირებულების 70% და სარწყავი სისტემების მაქსიმუმ 50%. არაუმეტესი 10 000 ლარისა 1 ჰა-ზე, რაც კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ხელშეწყობა იქნება სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის.

# 2016 წლის 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე ხაშურის მუნიციპალიტეტის მაჟორიტარობის კანდიდატები

(რიგითობა დაცულია საარჩევნო ნომრების მიხედვით)

## გიორგი მოსიაშვილი ①

(საარჩევნო ბლოკი „პაატა ბურჭულაძე-სახელმწიფო ხალხისთვის“)

დაიბადა 1960 წელს.

1992 წელს დაამთავრა პოლიტექნიკური ინსტიტუტი, ავტომობილები და საავტომობილო მეურნეობის სპეციალობით.

1994-1999 წწ პოლიციის აკადემია-სამართალმცოდნეობა. წლების განმავლობაში მუშაობდა შსს საგზაო პოლიციის სამმართველოში.

1994 წელს შსს საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველოს ზემო იმერეთის განყოფილება – უფროსი.

1995-1996 წწ. იყო შსს საგზაო პოლიციის განყოფილების უფროსის მოადგილე.

1996-2001 წწ. შსს ხაშურის რაიგანყოფილების საგზაო პოლიციის ქვეგანყოფილება-უფროსი.

2001-2004 წწ. შსს ხაშურის რაიგანყოფილება-შტაბის უფროსი. არის სპორტის ოსტატი, პოლკოვნიკი.

ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

## გიორგი ბერიძე ③

(საარჩევნო ბლოკი „ნინო ბურჯანაძე-დემოკრატიული მოძრაობა“)

დაიბადა ხაშურში, 1962 წელს .

1980 წელს დაამთავრა ხაშურის №3 საშუალო სკოლა;

1981 წლიდან 1986 წლამდე მუშაობდა ქვიშხეთის საბჭოთა მეურნეობაში მუშად;

1986 წელს დაამთავრდა საქართველოს სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტის სრული კურსი – სპეციალობით აგრონომია და მიენიჭა სწავლული აგრონომის კვალიფიკაცია;

1987-1996 წლებში მღვაწეობდა ბიზნესში;

1996-1999 წლებში მუშაობდა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში ლიტვის რესპუბლიკის გენერალურ საკონსულოში ატაშედ;

1998 წელს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ მიანიჭა რანგი-ატაშე;

2000 წლიდან დღემდე მოღვაწეობს ბიზნესში:

არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, უსინათლო.

ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

## როინ მახარობლიძე ⑤

(საარჩევნო ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“)

დაიბადა 1974 წელს. დაამთავრა რკინიგზის ხაშურის III საშუალო სკოლა, 1991-1996 წლებში კი სწავლობდა ჯამბაკურ ბაქრაძის სახელობის სამართლისა და ეკონომიკის ინსტიტუტში, სადაც მიიღო იურისტის სპეციალობა. 1996 წელს მუშაობას იწყებს ხაშურის რაიონის გამგეობაში საორგანიზაციო განყოფილების მთავარ სპეციალისტად. 1996-1997 წლებში იმყოფებოდა სავალდებულო-სამხედრო სამსახურში. 1997 წელს იგი ჯერ ხაშურის გამგეობის იურისტია, შემდეგ კი იურიდიული განყოფილების უფროსი, საიდანაც გამგებლის მოადგილედ აწინაურებენ. 2006-2012 წლებში სხვადასხვა დროს იყო შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი, ადმინისტრაციაში ზედამხედველობის სამსახურის უფროსი და ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელი. 2014 წლიდან დღემდე არის ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” თავჯდომარე. ჰყავს მეუღლე და ერთი შვილი.

## ირინე გელაშვილი ⑥

(„უსუფაშვილი -რესპუბლიკელები“)

დაიბადა 1970 წელს. დაამთავრა 64-ე პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი. სწავლა განაგრძო როსტოვის რკინიგზის ტრანსპორტის ინსტიტუტში, შემდეგ წლებში კი – საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში და ფილიპე გოგიჩაიშვილის სახელობის იურიდიულ-ეკონომიკურ ინსტიტუტში;

მუშაობდა კერძო კლინიკაში მენეჯერად.;

2007 წლიდან არის „რესპუბლიკური პარტიის“ ხაშურის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე.

2012 წლის დეკემბრიდან იყო ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე.

2014 წლიდან ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრია.

## რამაზ ნოზაძე ⑧

(საარჩევნო ბლოკი „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი -საქართველოს პატრიოტთა ალიანსი, გაერთიანებული ოპოზიცია“)

დაიბადა 1972 წელს. დაამთავრა თბილისის 140-ე საშუალო სკოლა.

1994-1998 წწ. მუშაობდა სს “საქართველოს ბანკში“ - სავალუტო ოპერაციების სპეციალისტად;

1998 წელს დაამთავრა თბილისის დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი, ეკონომიკის ფაკულტეტი.

1988-2000 წლებში ცხოვრობდა და სწავლობდა ამერიკის შეერთებულ შტატებში;

2000-2005 წლებში მუშაობდა სს „თიბისი ბანკში“ სესხების ადმინისტრატორის თანამდებობაზე;

2003- 2009 წლებში ჰქონდა კერძო ბიზნესი,

2009-2010 წლებში მუშაობდა საქართველოს ეკონომიკის სამინისტროში, საფინანსო-სახელმწიფო შესყიდვების და ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსად,

2010-2015 წლებში ჰქონდა კერძო ბიზნესი.

ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

## გელა ადუაშვილი ⑫

(„საქართველოს კომუნისტური პარტია -სტალინელები“ (ივანე წიკლაური)

დაიბადა 1956 წელს. დაამთავრა სურამის III საშუალო სკოლა. 1974-80 წლებში სწავლობდა თბილისის პოლიტექნიკურ უნივერსიტეტში სატრანსპორტო ფაკულტეტზე. 1980-86 წლებში იყო ხაშურის გამოთვლითი ცენტრის საფეიქრო-საგალანტერიო ფაბრიკის ფილიალის უფროსი, ხოლო 1986-1990 წლებში გამოთვლითი ტექნიკის შემკეთებელი ქარხნის ხაშურის ფილიალის უფროსი. 1996 წლიდან იგი ხაშურის ელკავშირის მარკეტინგის ინჟინერია. 2003 წელს იგი ინიშნება ხაშურის ტექნიკური კვანძის უფროსად. ამჟამად არის „სილქნეტის“ სარელეო კავშირების ინჟინერი.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

## რევაზ კოშკაძე ⑭

(„დავით თევზაძე -საქართველოს მშვიდობისათვის“)



დაიბადა 1949 წელს. 1966 წელს დაამთავრა სურამის I საშუალო სკოლა. 1968-1970 წლებში იმყოფებოდა სავალდებულო-სამხედრო სამსახურში. 1977 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი, 1989 წელს კი - პატენტმცოდნეობისა და ეკონომიკის ინსტიტუტი. 1971-1985 წლებში კი მუშაობდა ხაშურის რაიონის კულტურის განყოფილებაში სხვადასხვა თანამდებობებზე. ხელმძღვანელობდა საესტრადო ანსამბლს. 1985 წელს დაინიშნა რესპუბლიკური გაერთიანება „ავტოსპორტსაქონლის” ხაშურის ფილიალის დირექტორად. 1989 წელს მუშაობას იწყებს ხაშურის „რაიკავშირში” საქონელმცოდნედ. 1993-2009 წლებში მოღვაწეობდა რუსეთში, ბიზნესის სფეროში. 2009 წლიდან საქართველოში ბრუნდება. არის შპს „ედელვაისის” დირექტორი. არის საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი. ჰყავს სამი შვილი.

(გაგრძელება III გვერდზე)

# 2016 წლის 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე ხაშურის მუნიციპალიტეტის მაჟორიტარობის კანდიდატები

(რიგითობა დაცულია საარჩევნო ნომრების მიხედვით)

## სოსლან ხაჩიძე (17)

(„საქართველო“)

დაიბადა 1970 წელს. 1987 წელს დაამთავრა რკინიგზის ხაშურის V საშუალო სკოლა. 1988-1990 წლებში იმყოფებოდა სავალდებულო სამხედრო სასწავლებელში. 1994-1996 წლებში სწავლობდა სტომატოლოგიურ ტექნიკუმში, 1997-2001 წლებში კი თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, კავშირგაბმულობის ფაკულტეტზე. 2011 წლიდან დღემდე „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის ხაშურისა და ქარელის სერვისცენტრის შემოსავლების განყოფილების სპეციალისტია.

ჰყავს მეუღლე და ერთი შვილი.

## სიმონ ნოზაძე (19)

(საარჩევნო ბლოკი „თოფაძე - მრეწველები, ჩვენი სამშობლო“)

დაიბადა 1953 წელს.

დაამთავრა მანქანათმშენებლობის ტექნიკუმი, შემდეგ კი – საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი;

1977 წ. მიენიჭა ლეიტენანტის სამხედრო წოდება;

1977 წ. მუშაობდა ჩარხმშენებელი ქარხნის საკონსტრუქტორო ბიუროში, ინჟინერ-კონსტრუქტორად;

1971-1973 წწ. მუშაობდა საქმთავარენერგოს თბილისის ელექტროქსელების დიდუბის ქვესადგურის მორიგე ელმონტიორის თანაშემწედ და საბურთალოს III ქვესადგურის მორიგე ელმონტიორად;

1978 წლის აპრილში აირჩიეს კ.დ. უშინსკის სახელობის 75-ე პროფტექნიკური სასწავლებლის კომკავშირის კომიტეტის მდივნად;

1979 წლის ნოემბერში აირჩიეს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ენერგეტიკული ფაკულტეტის ალკკ კომიტეტის მდივნად;

1982 წელს მუშაობდა საქ. კპ. თბილისის ორჯონიკიძის რკ-ის ინსტრუქტორად;

1980-1983 წ., კომკავშირულ-პარტიული მუშაობის პარალელურად, მუშაობდა სპი-ს ელექტროტექნიკის კათედრის ასისტენტად;

1994 წ. ივნისში დაინიშნა ახლადშექმნილი საქართველოს სამთავრობო დაცვის სამსახურის (შემდგომში საქ. სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური) უფროსის მოადგილედ;

1998 წლის ნოემბერში დაინიშნა საქ. სახელმწიფო უშიშროების მინისტრის მოადგილედ;

1999 წლის მაისში საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით მიენიჭა გენერალ-მაიორის სამხედრო წოდება;

2003 წელს დაჯილდოვდა ღირსების ორდენით;

2002 წლის ნოემბრიდან 2006 წლის ოქტომბრამდე იყო შ.პ.ს. ,,ატლანტი-უსაფრთხოების სამსახური”-ს დირექტორი;

2013 წ. დაინიშნა საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში, სამსახურის ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსის მოადგილედ, შემდეგ კი – ამავე სამსახურის აფხაზეთის ა. რ. მთავარი სამმართველოს უფროსად;

2015 წ. დაინიშნა საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის კონსულტანტად, ამავდროულად, დაეკისრა სამსახურის ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსის მოვალეობის შესრულება.

2015 წ. საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით მიენიჭა სახელმწიფო დაცვის გენერალ-მაიორის სპეციალური წოდება.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

## ზურაბ გელაშვილი (26)

(„ეროვნული ფორუმი“)

დაიბადა 1960 წელს. 1978 წელს დაამთავრა გორის X საშუალო სკოლა. 1978-80 წლებში იმყოფებოდა სავალდებულო-სამხედრო სამსახურში. 1980 წელს ჩააბარა კიევის სავაჭრო-ეკონომიკურ ინსტიტუტში, 1981 წელს კი სწავლა გააგრძელა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეკონომიკის ფაკულტეტზე – სასურსათო საქონელმცოდნეობის სპეციალობით. 1989 წელს იგი მოსკოვის „აგროვნეშნაუკასთან“ არსებული ბიზნესისა და მარკეტინგის (სოფლის მეურნეობა) უნივერსიტეტის სტუდენტია, საიდანაც გაცვლითი პროგრამით 1991-1993 წლებში სწავლობდა აშშ-ში – მინესოტას უნივერსიტეტში. 1998-2004 წლებში მიწვეული იყო და მუშაობდა ჩიკაგოში თავისი სპეციალობით. 2004 წელს იგი ამერიკელ პარტნიორებთან ერთად აარსებს საქართველოში ერთ-ერთ პირველ ფერმერულ მეურნეობას (ახალსოფელი). 2007 წლიდან ჩაება პოლიტიკურ მოძრაობაში. 2011 წლიდან არის პოლიტიკური გაერთიანება „ეროვნული ფორუმის“ ხაშურის ორგანიზაციის თავმჯდომარე. პოლიტიკური მოტივებით ორჯერ – 1989 (9 აპრილი) და 2009 წლებში იყო დაპატიმრებული.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

## დიანა გელაშვილი (27)

(„ირაკლი ალასანია - თავისუფალი დემოკრატები“)

დაიბადა 1981 წელს;

დაამთავრა ხაშურის №4 საჯარო სკოლა;

1998-2003 წლებში სწავლობდა თბილისის სასულიერო აკადემიასთან არსებულ საღვთისმეტყველო ინსტიტუტში, რომელიც დაამთავრა ხელოვნებათმცოდნის მაგისტრის კვალიფიკაციით;

2003-2005 წლებში მუშაობდა ხელოვნების ისტორიის და რელიგიის პედაგოგად;

2005-2014 წლებში - ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორად;

2014-2016 წწ. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ინფორმაციული კვლევის განყოფილების უფროსად;

სასწავლო კურსები:

2007 - ბიზნესის ადმინისტრირებისა და სწავლების კურსი;

2008 - 2010 წწ. საბიბლიოთეკო მენეჯმენტი - ლიტვის რესპუბლიკა;

2011 წ. აშშ - საერთაშორისო ლიდერთა გაცვლითი პროგრამის სტიპენდიანტი;

2011 წ. - პროექტების მართვის კურსი - ლიტვის რესპუბლიკა;

2012 წ. ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია - ხაშურის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა (თანაავტორი);

2012 წ. „NATO და საქართველო“ - ბრიუსელი, (ბელგია);

2013 წ. მართვის აკადემია - პროექტების მართვის სრული კურსი;

2013 წ. საბუღალტრო აღრიცხვა და ანგარიშგება;

2016 წ. PR აკადემია - „ივენთ მენეჯმენტის“ სრული კურსი;

განხორციელებული პროექტები:

2009 წ. „ღია ბიბლიოთეკა“;

2011წ. „თანამედროვე ბიბლიოთეკების განვითარების ხედვა საქართველოში“;

2010-2011 წწ. - „ინტეგრირებული სოფელი“;

2012 წ. „NATO -ს კვირეული ხაშურში“;

2013 წ. „მოქალაქეთა ჩართულობა ადგილობრივი თვითმმართველობის მუშაობის პროცესში“;

2013 წ. „განახლებული საბავშვო ბიბლიოთეკა“;

2013 წ. „ერთად – მოზარდთა უსაფრთხო მომავლისათვის“;

2014 წ. „ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლება თვითმმართველობის განვითარებისათვის“;

2015-2016 წწ. - „დამოუკიდებელი ქალი“;

2012. წ. ააიპ. სამოქალაქო ჩართულობის განვითარების ცენტრი „თანამონაწილე“, დამფუძნებელი, დირექტორი.

იოსებ ყიფშიძე „თხზულებანი“ - სარედაქციო კოლეგიის წევრი;

,პირველი ლექცია“ - თსუ. - სარედაქციო კოლეგიის წევრი.

## ბაგრატ მეხრიშვილი (28)

(„ზვიადის გზა - უფლის სახელით“)

დაიბადა 1962 წელს. სწავლობდა სურამის მეორე საშუალო სკოლაში და სურამის №14 პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში. 1978 წლიდან 1989 წლამდე მუშაობდა ხაშურის რაიკოპვაჭრობაში, 1992 -დან 2013 წლამდე კი - შინაგან საქმეთა სამინისტროში პატრულ-ინსპექტორად და კულტურის ძეგლთა დაცვის ინსპექტორად. 2013 წლიდან არის არასამთავრობო ორგანიზაციის „სახალხო ტრიბუნა“ დამფუძნებელი და თავმჯდომარე.

(დასასრული IV გვერდზე)

# 2016 წლის 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე ხაშურის მუნიციპალიტეტის მაჟორიტარობის კანდიდატები

(რიგითობა დაცულია საარჩევნო ნომრების მიხედვით)

(დასასრული)

## ვალერი გელაშვილი 41

(„ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“)

დაიბადა 1960 წელს;1976 წელს დაამთავრა ამიერკავკასიის რკინიგზის ხაშურის №3 საშუალო სკოლა;

1977-1981 წლებში სწავლობდა საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტში,მასწავლებლის სპეციალობაზე;

1981-1991 წლებში მუშაობდა ფიზიკური კულტურის მასწავლებლად;

1991-1999 წლებში იყო დახურული სააქციო საზოგადოება VG -ს გენერალური დირექტორი;

1999-2003 წლებში იყო ხაშურის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი საქართველოს პარლამენტში;

2003 წელს კვლავ გახდა საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატი, თუმცა, 2005 წლის 14 ივლისს პოლიტიკური ნიშნით მასზე განხორციელებული სასტიკი თავდასხმის შემდეგ, საპარლამენტო საქმიანობას ჩამოშორდა;

2006-2012 წლებში დაუბრუნდა დსს VG-ს გენერალური დირექტორის პოსტს;

2011-2012 წლებში კი იყო შპს „ევრას“ დირექტორი;

2012 წლიდან არის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ მხარდამჭერი;

2012 წლიდან დღემდე ხაშურის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატია საქართველოს პარლამენტში;

ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

## პავლე ლაცაბიძე 43

(დამოუკიდებელი კანდიდატი, საინიციატივო ჯგუფი - ილია კაპანაძე, ემზარ მურჯიკნელი, ზაალ ფცქიალაძე, ჯურხა მახარაშვილი, გენადი გელაშვილი)

დაბადების თარიღი: 1962 წ.

დაამთავრა თბილისის ჰუმანიტარული ინსტიტუტი;

1979-1980 წწ. მუშაობდა ხაშურის რაიონის სოფელ ცხრამუხის მეურნეობაში ტრაქტორისტად;

1981-1983 წწ. რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში მილსაგლინავ საამქროში ხარატად;

1995-2004 წწ. მაღალი თანამდებობები ეკავა ქალაქ რუსთავის დაცვის პოლიციაში;

1995 წელს მიენიჭა ოფიცრის წოდება.2004 წელს -კაპიტნის წოდება;

2004-2006 წლებში მუშაობდა რუსთავის ადმინისტრაციული პოლიციის უფროსად;

2006-2008 წლებში დაკავებული იყო კერძო ბიზნესით სოფლის მეურნეობის განხრით;

2008-2010 წლებში იყო თვითმმართველი ქალაქ რუსთავის მერის მოადგილე;

2010-2012 წლებში იყო რუსთავის მეოთხე მოწვევის საკრებულოს მაჟორიტარი წევრი;

2012 წლის 24 სექტემბერს პირადი განცხადების საფუძველზე დატოვა საკრებულო;

2014 წლიდან – ხაშურის საკრებულოს მუნიციპალიტეტის წევრი.

ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

# საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის ზოგიერთი მნიშვნელოვანი საკითხის შესახებ

სახელმწიფოსა და საზოგადოების განვითარება ყოველთვის წარსულის მემკვიდრეობის საფუძველზე იგება. კაცობრიობის ისტორიული ევოლუციები ამ კანონზომიერებაზეა დამყარებული და ქვეყნის განვითარება,თუ ამ ბუნებრივ-ისტორიული დინების ჩარჩოებში თავსდება, მით მეტი გარანტია იკვეთება იმისა, რომ ამ ქვეყანას და მის საზოგადოებას ასცდება შეჯახებები, კატაკლიზმები, სისხლისმღვრელი, ძმათამკვლელი ომები. ყველა სახელმწიფოს თავისი იდეოლოგია გააჩნია ანუ, ის პოლიტიკური მიმართულება, რომელსაც ის აწარმოებს, როგორც საშინაო, ისე საგარეო მიმართულებით.

იდეოლოგიის გარეშე არ არსებობს პოლიტიკა, ამ ორის გარეშე კი - თვით სახელმწიფო.

დამოუკიდებლობის 25 წელმა გამოკვეთა საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები და დირებულებები, რაც ეროვნული იდეოლოგიის მთავარი საყრდენი უნდა იყოს. ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურმა პოლიტიკურმა კურსმა და რეფორმებმა, წარმოებითი ურთიერთობების სფეროში, განსაზღვრა ქვეყნის ეკონომიკური სტრატეგია და საბაზრო ეკონომიკის ფორმირების პროცესი შეუქცევადი გახადა. საქართველო უნდა იყოს სოციალური სახელმწიფო, რაც გულისხმობს ოპტიმალურ საგადასახადო პოლიტიკას, შემოსავლების გადანაწილებას და ამის საფუძველზე მოსახლეობის ყველა სოციალური და დემოგრაფიული ჯგუფის ინტერესების უზრუნველყოფას.

აღვნიშნავთ, რომ ამ მიმართულებით ჯერჯერობით ქვეყანაში ყველაზე ნაკლები წარმატებებია, მაგრამ, რადგან ეს მოთხოვნა კონსტიტუციური იმპერატივია და სტრატეგიული ორიენტირიც, ხელისუფლება მომავალში ამ პრობლემების მოგვარებას ვერ გაექცევა.

## 1. განათლება

განათლებას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სახელმწიფოს განვითარებისა და სიმტკიცე-სიძლიერის საქმეში.

დიდი ყურადღება უნდა მიექცეს დაწყებით სასკოლო განათლებას,რადგან ამით ეყრება საფუძველი ბავშვის, მოზარდის აღზრდას და მის პიროვნებად ჩამოყალიბებას. ამიტომ სკოლის უპირველეს ამოცანად მიგვაჩნია, ცოდნასთან ერთად ბავშვის ზნეობრივი აღზრდაც, რადგან პიროვნების ღირსებებსა და ღირებულებებში ზნეობრიობა უალტერნატივოა.

პიროვნებაში ცოდნა და ზნეობა შეხამებული უნდა იყოს,ამის გარეშე სწავლული კაცი უფრო საშიში იქნება საზოგადოებისთვის, ვიდრე უსწავლელი. განათლებას ერთ-ერთი ძირითადი ადგილი უჭირავს ქვეყნის მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობისა და სულიერი აღმავლობის საქმეში.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია გავიხსენოთ და ყოველთვის გვახსოვდეს ი. ჭავჭავაძის როლი ამ საკითხთან დაკავშირებით, ილიასი, რომელიც ცდილობდა რაც შეიძლებოდა ფართო ფენები განეწყო ცოდნის მისაღებად: „შესაძლოა, კაცს სიმდიდრე თვალწინ ედოს და ვერა ჰხედავდეს და არ იცოდეს, როგორ და რა გზით აიღოს და შინ შეიტანოს, და მცოდნე კაცი კი ქვასაც წყალს გამოადენს, სიმდიდრის წყაროს იქ ამოახეთქებს, საცა უცოდინარს სიზმარშიაც არ მოეჩვენება.

რაც შეეხება უმაღლეს განათლებას, სახელმწიფო იმას კი არ უნდა ცდილობდეს, რომ მოახდინოს მონოპოლიზაცია ამ სფეროში, არამედ უნდა ზრუნავდეს და ეხმარებოდეს უმაღლეს საგანმანათლებლო დარგს, რათა ის უფრო ეფექტური გახდეს, დასავლეთ ევროპის ქვეყნებზე ორიენტირებულიც და მაი ეკვივალენტური კადრების მომზადების სამჭედლოდ გადაქცევის უნარის მქონეც. მეტადრე მაშინ,როდესაც ჩვენს ქვეყანაში დამკვიდრდა საბაზრო-ეკონომიკური სისტემა, თავისუფალი ბაზარი და კონკურენცია.

სწორედ თავისუფალმა ბაზარმა და კონკურენციამ უნდა დაარეგულიროს განათლების სფეროში არსებული უმაღლესი სასწავლებლების ფუნქციონირების ან არაფუნქციონირების საკითხი და არა ხელისუფლების ნებამ, რომ მოხდეს მათთვის არასასურველი უმაღლესი სასწავლებლების მასიური დახურვები, რის შედეგადაც უმუშევარი დარჩა ათეულობით და ასეულობით პროფესორ-მასწავლებელი.

საქართველოს ჰყავს ნიჭიერი ახალგაზრდობა,რომელიც უმაღლეს განათლებას იღებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში და წარმატებით ეუფლება მეცნიერებათა მიღწევებს ამა თუ იმ დარგში.

აი, ასე მიმართავდა საზღვარგარეთ სასწავლებლად წასულ მამულიშვილთ ილია ჭავჭავაძე: „ნუ მიწყენთ, რომ მოგახსენოთ ჩემი კი არა, ჩემისა და თქვენის ქვეყნის სახელით; სასწავლებლად წასულხართ, ისწავლეთ, ცოდნა შეიძინეთ . . . მარტო მას შეალიეთ თქვენი დღენი და ამ ორის უძლიერესის ფარხმალით მოდით და დაეპატრონეთ თქვენდა მოსავს ქვეყანასა, რომელსაც ჯერ სხვა სავედრებელი თქვენს წინაშე არა აქვს - რა და რომელიც ამ გზით მოელის თქვენგან ხსნასა და ბედნიერებას“.

ილიას ეს მოწოდება სტუდენტებისადმი ყოველთვის აქტუალური იქნება, ყავლი არასდროს გაუვა. დიდი ქართველი მოაზროვნის სიტყვები არასოდეს „დაბერდება“ და „მოძველდება“.

სახელმწიფომ აგრეთვე დიდი ყურადღება უნდა დაუთმოს მეცნიერებსა და გამომგონებლებს, უნდა დააფინანსოს და წაახალისოს ისინი, გრანტების შემყურენი და უცხოეთში გადახვეწილნი, სამუდამო ემიგრაციაში რომ არ აღმოჩნდნენ.

ჩინებული მეცნიერები გვყავს და ამ ასპექტით ერთ-ერთი წარმატებული ქვეყანა ვართ მსოფლიოში, თუმც დღეს სამეცნიერო სფეროს წარმომადგენლებს აკლიათ სათანადო ყურადღება და თითქმის იგნორირებულნი არიან სახელმწიფოს მხრიდან.

მეცნიერება ის დვრიტაა,რომელიც განაპირობებს თითოეული დაწინაურებული ქვეყნის პროგრესს.

მეცნიერების უახლესი მიღწევების გაცნობისა და დანერგვის გარეშე, ვერც ერთი ქვეყანა ვერ აუბამს მხარს საყოველთაო სამყაროს, მთელს მსოფლიოს, ვერ მოახდენს პიროვნებათა მატერიალურ, ფინანსურ უზრუნველყოფას. სულიერი ფასეულობების დევალვაციაც მოჰყვება რეგრესსა და უკუსვლას.

## 2. ეკონომიკა

ეკონომიკაში არსებული პრობლემებიდან, მიგვაჩნია, რომ უპირველესად ძირითადი ყურადღება დაეთმოს სოფლის მეურნეობას, რადგან ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური სიძლიერის საფუძველი სწორედ სოფელი და სოფლის მეურნეობაა.

პუბლიცისტურ წერილში „ჩვენი სოფლის მეურნეობა და შეკავშირების საჭიროება“, ილია ჭავჭავაძე მიუთითებდა, რომ საქართველოს სოფელს ეკონომიკური მოდერნიერებისათვის ყველა აუცილებელი პირობა ჰქონდა; ასეთად კი იგი, პირველ რიგში, ქვეყნის ბუნებრივ-კლიმატურ პირობებს მიიჩნევდა: “ზომიერი ნელ-თბილი ჰავა, ნაყოფიერი და თითქმის ყველაფრის უხვად მომცემი მიწა“ იმის გარანტია იყო, რომ ქართველ გლეხს ეკონომიურად არ გასჭირვებოდა. საქართველოს მიწას შეუძლია „იმდენი სიმდიდრე მოგვცეს, რამდენიც საჭირო“.

სოფლის მეურნეობას დღესაც იგივე პრობლემები აქვს, რაც ერთი საუკუნის წინათ ჰქონდა, ქართული სოფელი დღესაც ვერ დადგა ფეხზე. ამის გამოა, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქციის დიდი ნაწილი უცხოეთიდან შემოდის, მაშინ, როდესაც ჩვენ შეგვიძლია ვაწარმოოთ სოფლის მეურნეობის პროდუქცია იმდენი რაოდენობით, რომ შიდა ბაზარი სრულიად დაკმაყოფილებული გვქონდეს და გარკვეული რაოდენობის ექსპორტიც განვახორციელოთ.

პრობლემების გადასაჭრელად უპირველესად მიგვაჩნია, რომ სახელმწიფოს მხრიდან მოხდეს სოფლის მეურნეობის მიმართ სისტემური მიდგომა.

საჭიროა, სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებული იყოს საკმარისი რაოდენობის სახსრები, რაც მოხმარდება სოფლის მეურნეობის აღორძინებასა და განვითარებას.

უნდა მოხდეს მიწების განაყოფიერება, გამდიდრება სასუქებით, ყველა გლეხი უზრუნველყოფილი უნდა იყოს შხამ-ქიმიკატებით. აგრეთვე მათ მიწის დასამუშავებლად და მოსავლის ასაღებად უახლესი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა უნდა გააჩნდეთ. არცერთი მტკაველი მიწა დაუმუშავებელი და აუთვისებელი არ უნდა დარჩეს.

ყოველივე ამის მისაღწევად, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სოფელს ესაჭიროება სახელმწიფოს მხრიდან სერიოზული ეკონომიკური დახმარება და მუდმივი ზრუნვა. უნდა მოხდეს გლეხებისათვის მიწების კერძო საკუთრებაში გადაცემა. გლეხს თუ სერიოზული მატერიალური დაინტერესება არ აქვს, თუ მიწა მის საკუთრებას არ შეადგენს და მიწის პატრონი გლეხს მხოლოდ მოგებისას უხდება მეწილედ, მაშინ, ასეთ შემთხვევაში, შრომა ვერ იქნება მაღალნაყოფ

(დასასრული V გვერდზე)

# საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის ზოგიერთი მნიშვნელოვანი საკითხის შესახებ

(დასასრული)

იერი.

საბაზრო-ეკონომიკურ პირობებში, როდესაც კაპიტალიზმი მყარად იკიდებს ფეხს ქვეყანაში, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, დაწესდეს გარკვეული შეზღუდვები კაპიტალის ფრონტალური შეტევისა გლეხურ მეურნეობებზე.

ეკონომიკის განვითარების თვალსაზრისით, არ შეიძლება არ შევეხოთ ისეთ დარგს, როგორიც არის მრეწველობა (როგორც მძიმე, ასევე მსუბუქი მრეწველობა). საქართველოს დამოუკიდებლობიდან ორი ათეული წელი გავიდა, ეს დარგი კი კვლავ „გაყინულია". ისეთ სახელმწიფოში, რომელიც ვერ აწარმოებს საკუთარ პროდუქციას, ეკონომიკურ განვითარებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია.

საქართველოს გააჩნია ის ტრადიციები და მემკვიდრეობა, რომელიც მოიცავს ისეთ დარგებს, როგორიცაა: მეტალურგია, მანქანათმშენებლობა, ავიაცია, საგალანტერიო წარმოება და სხვა.

ეკონომიკა ქვეყნის აღმშენებლობის საფუძველია; სწორედ მისი განვითარების ხარისხმა უნდა გადაწყვიტოს უმთავრესი პოლიტიკური და სოციალური პრობლემები. არასოდეს უნდა დავივიწყოთ ილიას მოწოდება, რომელიც ყველა დროის ხელისუფლებას ერთნაირად ეხება: „თუ ეკონომიკურად წელში გაიმართებით. ჩემო სამშობლო, მამაპაპათაგან ნაანდერძევი, შეგვრჩება, ვერავინ წაგვართმევს".

## 3. კერძო საკუთრება

ყველა ლიბერალური ღირებულება ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია, როგორც იდეებისა და კონცეფციების მთლიანი სისტემა, ამ სისტემაში კი უმთავრესი მაინც თავისუფლებაა. მხედველობაში გვაქვს ეკონომიკა, პოლიტიკა, სულიერი ცხოვრება. არც ის არის შემთხვევითი, რომ ამ იდეოლოგიის სახელწოდება ლათინური „ლიბერალი"-დან წარმოიშვა, რაც ქართულად „თავისუფალს" ნიშნავს.

ადამიანის თავისუფლება პირველ რიგში უნდა აისახოს მისი პოლიტიკური არჩევანის თავისუფლებაზე, აგრეთვე „ბუნებრივ უფლებებზე", რომელთა რიგშიც კერძო საკუთრებას განსაკუთრებული ადგილი უკავია.

ადამიანის მრავალგანზომილებიან თავისუფლებაში, კერძო საკუთრებას მნიშვნელოვანი როლი ეკისრება, რადგან ის განიხილება, როგორც თავისუფლების გარანტი და საფუძველი.

ლიბერალიზმმა კერძო საკუთრება და თავისუფლება ორ ურთიერთდაკავშირებულ ღირებულებად აღიარა, რომლებიც ერთმანეთს განაპირობებენ. ჰეგელისთვის საკუთრება იყო „ადამიანის თავისუფლება, რომელიც მოვლენათა სამყაროში რეალიზდება".

მხოლოდ კერძო საკუთრება ხდის პიროვნებას თავისუფალს და ამასთან ერთად აყალიბებს ინდივიდუალიზმს.

არ არსებობს თავისუფლება კერძო საკუთრების გარეშე და კერძო საკუთრება თავისუფლების თვინიერ.

საკუთრებაში არ იგულისხმება მხოლოდ ხელშესახები, კონკრეტული საგნები, როგორც ეს ბევრს მიაჩნდა. ფიზიკურის გარდა ადამიანის საკუთრებაა მისი აზრები, იდეები, რწმენისა და აღმსარებლობის საკითხები და მათი გამოხატვის საშუალებები.

გამოთქმას „ყოველი ადამიანი თავის თავს ეკუთვნის", დიდი ხნის ისტორია აქვს და სათავეს ანტიკური აზროვნებიდან იღებს. ამასთან დაკავშირებით ჯ. ლოკი ამბობს: „ჩემს მიერ ხმარებული „საკუთრება" უნდა იქნეს გაგებული, როგორც ის საკუთრება, რომელსაც ადამიანები არა მარტო ქონების, არამედ თავიანთი პიროვნების სახით ფლობენ".

საქართველოში საკუთრების უფლება ქვეყნის ძირითადი კანონით, კონსტიტუციით არის განმტკიცებული. კერძოდ, კონსტიტუციის 21-ე მუხლში მოცემული კერძო საკუთრების უფლება. ერთი მხრივ, არის საკუთრების, როგორც ინსტიტუტის გარანტია და მეორე მხრივ, საკუთრების, როგორც პიროვნების უფლების გარანტია. კონსტიტუციის 21-ე მუხლის მესამე პუნქტის მიხედვით საკუთრების ჩამორთმევის მიზანი შეიძლება იყოს მხოლოდ საზოგადოებრივი ინტერესებით განპირობებული ანუ კონსტიტუციის ენით რომ ვთქვათ, საზოგადოებრივი საჭიროება. შინაარსობრივად ეს პუნქტი კონსტიტუციაში განმარტებული არ არის. აბსტრაქტულად იგი მრავალ მიზანს და გარემოებას შეიძლება მოიცავდეს. კონკრეტულად კი, კანონმდებელმა უნდა განსაზღვროს, თუ რა წინაპირობების არსებობის შემთხვევაშია საკუთრების ჩამორთმევა მიზანშეწონილი.

კანონმდებელი კომპენსაციის შემთხვევაში, „აწონ-დაწონის" მოთხოვნას ექვემდებარება. ამიტომ ის ვალდებული არ არის საბაზრო ღირებულების მიხედვით დააწესოს საკუთრების რამე ნომინალური ფასი. მან უფრო საქმის ფაქტობრივი შემადგენლობიდან გამომდინარე, ანუ კონკრეტული სიტუაციის თავისებურებებისა და დროის შესაბამისად უნდა განსაზღვროს საკუთრების ღირებულება. ზემონახსენები აწონ-დაწონის მოთხოვნის საფუძველზე ანაზღაურება შეიძლება საბაზრო ფასის მიხედვითაც მოხდეს. მხოლოდ კანონმდებელია უფლებამოსილი, მესაკუთრისა და საზოგადოების ინტერესების აწონ-დაწონით განსაზღვროს ჩამორთმეული საკუთრების კომპენსაციის სახე და მოცულობა.

კანონმდებელი წინასწარ ყოველთვის ვერ განჭვრეტს და გადაწყვეტს თუ როგორ უნდა მოხდეს მომავალში აწონ-დაწონის სახით საკუთრების ჩამორთმევა ან მის რომელ კონკრეტულ შემთხვევასთან გვექნება საქმე. ამიტომ ვფიქრობთ, უფრო მიზანშეწონილი იქნება, ასე შემთხვევაში, ანაზღაურება საბაზრო ფასის მიხედვით დადგინდეს.

მიგვაჩნია, რომ ასეთ შემთხვევაში მესაკუთრე უფრო ნაკლებად იქნება დაზარალებული, რაც აგრეთვე კონსტიტუციის 21-ე მუხლის დაცვის სამართლიანობასაც შეუწყობს ხელს.

თუ მოხდება სახელმწიფოს მხრიდან კონსტიტუციის 21-ე მუხლის დარღვევა, ანუ თუ ის უკანონოდ ჩაერევა ადამიანის საკუთრების სფეროში, ასეთ შემთხვევაში, კონკრეტულ, კერძო პირს უფლება აქვს სარჩელით მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს.

მესაკუთრის სარჩელის საფუძველზე საკონსტიტუციო სასამართლომ, როგორც საკონსტიტუციო კონტროლის სასამართლო ორგანომ, უნდა განიხილოს სახელმწიფოს მხრიდან საკუთრებაში ჩარევის კონსტიტუციურობის საკითხი. ამ შემთხვევაში სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველს ანუ მასშტაბს ზოგადად კონსტიტუცია, კერძოდ კი, მისი 21-ე მუხლი წარმოადგენს.

## 4. ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

ჯანდაცვის სფეროში უკვე გატარებული და ამჟამად მიმდინარე რეფორმების შედეგად, თითქოს ტენდენცია შეინიშნება ახალი საავადმყოფოების მასიური გახსნით გამოხატული. მიუხედავად ამისა, ამ დარგში ჯერ კიდევ ბევრი ნაკლი და ხარვეზი არსებობს, რაც დაუყონებლივ გამოსწორებას საჭიროებს. ხშირია ავადმყოფებისადმი უსულგულო და გულგრილი დამოკიდებულების გამოვლენის ფაქტები, სამედიცინო ეთიკის ნორმების დარღვევები.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში, როდესაც ჯანდაცვა საკმაოდ მაღალ-ანაზღაურებადი გახდა, ხოლო პარალელურად უმუშევართა რიცხვის თანდათანობითი ზრდის ფონი გვაქვს სახეზე და ამასთანავე პენსიონერებისა და ინვალიდების პენსიებიც დაბალია, შეუძლებელი ხდება მოქალაქეთა სრულფასოვანი სამედიცინო მომსახურეობით უზრუნველყოფა. თუ ფული არ გაქვს, ექიმი ზედ არ შემოგხედავს და არ აღმოგიჩენს სათანადო სამედიცინო დახმარებას, უფულო ადამიანი განწირულია სიკვდილისათვის.

2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგად ხელისუფლებაში მოვიდა „ქართული ოცნება" ბატონ ბიძინა ივანიშვილის ხელმძღვანელობით.

დაიწყო რეფორმების გატარება, ჯანდაცვის სფეროში გატარდა ისეთი მნიშვნელოვანი რეფორმა როგორიცაა, მოსახლეობის საყოველთაო დაზღვევა. აგრეთვე გადაუდებელი ოპერაციების დაფინანსება სახელმწიფოს მხრიდან.

მიუხედავად ამისა, გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია, იმედია, თანდათანობით მოგვარდება ჯანდაცვის სფეროში არსებული ნაკლოვანებები, რამაც საბოლოო ჯამში უნდა უზრუნველყოს ჩვენი მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუმჯობესება და საიმედო დაცვა.

ჯერ კიდევ სრულყოფილად ვერ შევძელით სამკურნალო-პროფილაქტიკური მუშაობის სიმძიმის ცენტრი გადაგვეტანა საამბულატორო პოლიკლინიკურ დაწესებულებებზე, განგვემტკიცებინა მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა (განსაკუთრებით - სოფლად), აღგვეჭურვა ისინი თანამედროვე დიაგნოსტიკური და სამკურნალო-სამედიცინო ტექნიკით, დაგვეკომპლექტებინა სათანადო კვალიფიციური სამედიცინო კადრებით.

ქვეყანაში შექმნილი ვერც სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს, განსაკუთრებით საგანგაშო ვითარებაა შექმნილი საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, საზოგადოებრივი კვების ობიექტებში: მოსახლეობის შეუმოწმებელი სურსათით მომარაგების პრეცედენტები, ყოველგვარი სტანდარტების უქონლობა, სახიფათოს ხდის ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობას.

უნდა გაუმჯობესდეს მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა. მიზანშეწონილად მიგვაჩნია საპენსიო ასაკის ბევრად ქვედა ზღვარზე დაწევა (მამაკაცების - 60, ქალების - 55 წ) დღეს არსებული პენსიის რაოდენობა ვერ უზრუნველყოფს იმ აუცილებელ მინიმუმს, რაც საჭიროა ადამიანის ნორმალური არსებობისთვის.

სახელმწიფომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამოიჩინოს მრავალ-შვილიანი ოჯახების მიმართ. უნდა ხდებოდეს მათთვის მატერიალური დახმარების გაწევა, ამასთან ერთად მათ მიმართ განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი ზრუნვა უნდა იქნეს გამოჩენილი. მათ ყველა პატივს უნდა სცემდეს.

კაპიტალისტური საზოგადოებისთვის ერთ-ერთ პრობლემას უმუშევრობა წარმოადგენს. საჭიროდ მიგვაჩნია, რომ სახელმწიფომ გაატაროს შემდეგი ღონისძიებები ამ პრობლემის შემცირება-აღმოფხვრისათვის: 1. ხელი უნდა შეუწყოს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას; 2. ხელი უნდა შეუწყოს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას. მეწარმენი გარკვეული ვადით უნდა განთავისუფლდნენ ყოველგვარი გადასახადებისგან; 3. ხელი უნდა შეუწყოს თავისუფალი ვაჭრობის განვითარებას; 4. ყოველმხრივ დაეხმაროს მეწარმეს წარმოების ჩამოყალიბებაში; 5. გათვალისწინებული უნდა იქნეს ბიუჯეტში საჭირო რაოდენობის სახსრები, რათა მოხდეს აუცილებელი საარსებო მინიმუმით უმუშევართა დაკმაყოფილება.

ამ ყველაფერს უნდა არეგულირებდეს და იცავდეს საკანონმდებლო სივრცე, რათა ვაჭრობა, წარმოება და ბიზნესი თავისუფალი და დაცული იყოს, როგორც რეკეტისაგან, ისე ყოველგვარი ზეწოლისაგან.

ყოველივე ეს ხელს შეუწყობს კომერციის განვითრებისა და გაძლიერების საქმეს, რაც აუცილებელ წინაპირობად გვესახება უმუშევართა რაოდენობის შემცირებისა და ეკონომიკის შემდგომი განვითარებისთვისაც.

მართებულად მიგვაჩნია, რომ აღდგეს პენსიების განაწილების ისეთი ფორმა, რომელიც ადამიანს თავისი დამსახურების მიხედვით მიეკუთვნებოდა. ადამიანთა გარკვეულ ნაწილს სერიოზული დამსახურება მიუძღვის სახელმწიფოსა და საზოგადოების წინაშე, ამიტომ მათი გათანაბრება ყველასთან, ნებისმიერ საკითხში არასამართლიანად მიგვაჩნია.

## 5. საგარეო პოლიტიკა

საქართველოს საგარეო პოლიტიკური კურსის განხორციელებისას უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი: ყველა ქვეყანამ, ვისთანაც კი ურთიერთობა ექნება საქართველოს, უნდა აღიაროს და პატივი სცეს ჩვენი სახელმწიფოს მთავარ ლოზუნგს, რომელიც უარსებითესი პოსტულატია საქართველოს თვითმყოფადობისათვის. ესაა - „მამული, ენა, სარწმუნოება".

თავის მხრივ საქართველომ ერთგულად უნდა დაიცვას საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპები.

ჯერ კიდევ XIX-ში, საქართველოს გეოპოლიტიკურ ფუნქციასთან მიმართებაში, ი. ჭავჭავაძე სრულიად ახლებურ მიდგომას აყალიბებს: „ჩვენ არ გვინდოდა, როგორც ლიტონს მემატიანეს, შეგვენიშნა, რომ აზია საერთოდ და ჩვენ თვითონ საკუთრივ, ვართ საჭირონი არამცთუ ჩვენი თავისთვის მხოლოდ, არამედ სხვისთვისაც. თუმცა ბევრი რამ შეიცვალა ქვეყნიერებაზედ ამ ხუთას-ექვსას წელიწადში, მაგრამ მიწის ყელი, რომელსაც კავკასიას ეძახიან, რომელიც აზიასა და ევროპის კარად ყოფილა უწინ და რომლის დაპყრობისთვისაც ბევრი სხვადასხვა ხალხების სისხლი დაღვრილა, მაინც ისევ კარად დარჩა და ხალხთა შორის შუღლისა და ცილობის მიზეზად იქნება კიდევ".

სწორედ ამაში მდგომარეობს კავკასიისა და საქართველოს ისტორიულ-გეოპოლიტიკური ფუნქცია და ახალი, გლობალური პოლიტიკით აღორძინებული და განპირობებული ამ ფუნქციის ახალი შინაარსიც.

შემდგომ მოვლენათა მსვლელობამაც და დღევანდელობამაც დაადასტურა, რომ ევროპისა და აზიის ამ „დამაკავშირებელი კარის" დაუფლებისთვის ბრძოლა ახალი ძალით გაჩაღდებოდა.

ილიას თანამოაზრე და თანამებრძოლი იაკობ გოგებაშვილი საქართველოს ახასიათებდა, როგორც „დედამიწის ყველაზე სახიფათო ადგილას მყოფ ქვეყანას".

თუ ჩვენ უახლესი ისტორიის და თანადროულობის პოლიტიკურ პროცესებს ჩავუკვირდებით, აშკარაა, რომ საქართველო ახლაც რჩება დიდი სახელმწიფოების ცილობისა და შუღლის საგნად.

სწორედ ამიტომ მიგვაჩნია, რომ საქართველოს საგარეო პოლიტიკის ვექტორი მიმართული უნდა იყოს ევროპისკენ, ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრაციისკენ, ისეთი მოქნილი საგარეო პოლიტიკური კურსის გატარებისკენ, რომელიც საქართველოს სასარგებლოდ მოახდენდა იმ დიდი სახელმწიფოების ინტერესთა ურთიერთდაბალანსებასა და ურთიერთგათვალისწინებას, რომლებსაც თავიანთი ინტერესები გააჩნიათ ამ გეოპოლიტიკურ სივრცეში.

ჩვენი ქვეყნის საგარეო პოლიტიკის განხორციელების პროცესში ამოსავალი უნდა იყოს უკეთესი მომავლისადმი მადალი შეგნების სულისკვეთება. ჩვენი ისტორიის გაკვეთილებიდან სწორი დასკვნების გამოტანის, სამშობლოსათვის თავდადებული ადამიანებისადმი პატივისცემის გამოხატვა.

აუცილებელი, უმნიშვნელოვანესი და ძირითადი საკითხი, ახლო მომავალში გადასაწყვეტი, არის ქვეყნის ტერიტორიული გამთლიანება და ადმინისტრაციული მოწყობა საერთაშორისო გამოცდილებისა და ჩვენი ქვეყნის ისტორიული წარსულის გათვალისწინების საფუძველზე.

ყოველივე ამის მისაღწევად აუცილებლად მიგვაჩნია უშუალო დიალოგი (სახალხო დიპლომატია) აფხაზ და ოს ხალხებთან, რუსეთთან ურთიერთობების მოწესრიგება, საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობა. ამასთანავე აუცილებელია ჩვენი ქვეყნის მეზობელ სახელმწიფოებთან მშვიდობიანი, სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავება. აუცილებელია კეთილმეზობლური, თანასწორი ურთიერთობების აღდგენა რუსეთთან.

ქვეყნის აღმშენებლობა დემოკრატიისა და სამართლიანობის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებთან შეხამებულ-შერწყმული ისეთი ეროვნული მოდელის შექმნას გულისხმობს, რომელიც ეროვნულ ღირებულებებზე და სახელმწიფოებრივ ტრადიციებზე იქნება დაფუძნებული.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, სწორი ეროვნული იდეოლოგიის და ქვეყნის მართებული საშინაო და საგარეო პოლიტიკის მიმართულების ჩამოყალიბება შესაძლებელი იქნება.

ამირან კურტანიძე
ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი,
პირველი კლასის სახელმწიფო მრჩეველი, სამართლის პროფესორი

# ცოცხნარელ ბავშვებს მიკროავტობუსი მოემსახურება

ცოცხნარის ზონაში არსებული სოფლების მოზარდების მშობლებს წლების მანძილზე აწუხებდათ პრობლემა, რომელიც საბავშვო ბაღში პატარების მგზავრობასთან იყო დაკავშირებული. მუნიციპალიტეტის გამგებლისა და ცოცხნარაში გამგებლის რწმუნებულის დავით გოგოლაძის ინიციატივით პრობლემა გადაიჭრა და პატარებს, რომლებიც სურამის საბავშვო ბაღში დადიან, დღეს უკვე მიკროავტობუსი ემსახურება, რომლის ხარჯებს მუნიციპალიტეტი ფარავს.

## შრომა დაფასდა, შედეგი სახეზეა

გაზაფხულზე, ქვიშხეთში, ზაზა სუხიაშვილის ახლადგაშენებულ ვაშლის ინტენსიურ ბაღს ვესტუმრეთ. ორწლიანი ბაღი, უკვე კვირტობაში იყო შესული. ახლო-ახლოს დარგულმა, მცირე ზომის ნარგავებმა, ცოტა დაგვაეჭვა იმაში, რომ შეიძლებოდა ასეთი ტიპის ბაღს გაემართლებინა და მოსავლის ის რაოდენობა მოეცა, რასაც ბატონი ზაზა კოოპერატივის წევრებთან ერთად ელოდა. ასეთი სკეპტიკური დამოკიდებულება სხვებსაც აქვთო, გვითხრეს. დაველოდეთ შემოდგომას. შემთხვევითმა შეხვედრამ და სურვილმა ახლაც ქვიშხეთამდე მიგვიყვანა. ახლა უკვე გამართული ვაშლის ბაღი იყო, მსხმოიარე, დახუნძლული, კარგად მოვლილი და ნაფერები.

ზაზა სუხიაშვილი:

–ეს ბაღი, დაახლოებით, 1,7 ჰექტარია, სამწლიანი ნარგავებია, ორ წელში ბოლომდე გაიმართება და სრულ მოსავალს მოგვცემს, ახლა თითო ძირს 12-13 კგ

ასხია. „გოლდენის“ რამდენიმე სახეობაა, „აიდარიდი“, „სმიტი“. 5-10 ოქტომბერს უკვე დაკრეფას დავიწყებთ. დაახლოებით 25 ტონას ველოდებით წელს, დასაწყობებას არ ვაპირებთ, რადგან მოთხოვნილება უკვე დიდია ბაზარზე. გარდა ამისა, გაზაფხულზე 6 ჰა-ზე ისევ ვაპირებთ ვაშლის ბაღის გაშენებას.

წარმატებულ ფერმერს, გარდა ვაშლის ინტენსიური ბაღისა, კაკლის ბაღიც აქვს, სამომავლოდ ბლის გაშენებასაც აპირებს, რისთვისაც დამატებით 3 ჰა მიწა შეიძინა. შედეგი რომ ძალიან კარგი აქვს, ეს სურათზეც კარგად ჩანს და ამაში ნახევარკილოიანმა ვაშლმაც დაგვარწმუნა.

P.S. ბატონი ზაზა სიურპრიზს უმზადებს ჩვენი მუნიციპალიტეტის პატარებს. ჩვენ მის ჩანაფიქრს, რა თქმა უნდა, წინასწარ არ გავახმოვანებთ, რადგან ამით სიურპრიზს ელფერი დაეკარგება. ათიოდ დღეში კი ამ ყველაფერს ჩვენი მკითხველი ექსკლუზიურად შეიტყობს.

– ძალოსნობა –

# თორნიკე ტაბატაძე ევროპას იპყრობს

პოლონეთში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე თავი გამოიჩინა და საქართველო და მშობლიური კუთხე ასახელა თორნიკე ტაბატაძემ. VI საჯარო სკოლის მეათე კლასის მოსწავლემ ევროპის 15 წლამდელ ძალოსანთა რეკორდი 12 კილოგრამით გააუმჯობესა. ეს მართლაც უდიდესი მიღწევაა, რადგან ერთბაშად 12 კილოგრამით რეკორდის გაუმჯობესება იშვიათი მოვლენაა. რაც შეეხება შეჯიბრს, მეტად დაძაბული ბრძოლა გაიმართა მძიმეწონოსან ძალოსნებს შორის, სადაც საბოლოო შედეგით და ორჭიდის ჯამში თორნიკე ტაბატაძე ევროპის ვიცე ჩემპიონი გახდა. თორნიკე, გილოცავთ ამ დიდ წარმატებას შენ საწყის გზაზე, იმედია, შენი რეკორდებით მომავალშიც გაგვახარებ ჩვენ, შენს გულშემატკივარს, ოჯახს და შენს მწვრთნელებს. ვულოცავთ ყველას, ვისაც უხარია საქართველოს და ქართველების წარმატება.

საქართველო – უკრაინა -ასე იწყება მეგობრობა.

D

# მანანა ლობჟანიძე-ინდუაშვილის გახსენება

ჩვენო საყვარელო მანანა, წლები ებრძოდი უკურნებელ სენს, შენთან ერთად იბრძოდნენ შენი საყვარელი ქმარ-შვილი, მშობლები, ახლობლები, რათა შენი სიცოცხლე კიდევ გაეხანგრძლივებინათ, მაგრამ მცდელობა ფუჭი აღმოჩნდა. ასე უდროოდ დაგვაკლდი ყველას და 21 სექტემბერს უშენოდ შევხვდით შენ დაბადების დღეს.

ძალიან გვიმძიმს უშენობა, ყველას მიმართ კეთილი, დაუზარელი და ერთგული იყავი, ჩვენო მანო.

ამბობენ, დრო ყველაფრის მკურნალია, მაგრამ ტკივილი არასოდეს ყუჩდება. დრო უძლურია ხსოვნის წინაშე, რადგან ხსოვნა მეორე სიცოცხლეა, კარგი ადამიანი, სიკვდილთან ერთად არ კვდება, ის სიცოცხლეს ცოცხლებთან ერთად აგრძელებს.

ნათელი და სანთელი არ მოჰკლებოდეს შენს ლამაზ სულს!

მეზობლები

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@.gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.